გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!!

ბ ო რ ჯ ო მ ი

23 მაისი
ხუთშაბათი
2024 წელი
№21 (9335)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა!

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - საქართველოს ეროვნული დღესასწაულია, ეროვნულ დღესასწაულად 1918 წლიდან აღინიშნება.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთში მონარქია დაამხო. 2 მარტს ტახტიდან გადადგა ნიკოლოზ II და დამყარდა ორხელისუფლებიანობა - სამართლებრივი თვალსაზრისით, სახელმწიფო ხელისუფლებას ფლობდა დროებითი მთავრობა, ხოლო რეალურ ხელისუფლებას - დეპუტატთა საბჭოები. ორხელისუფლებიანობა დამყარდა ამიერკავკასიასა და საქართველოშიც.

1917 წლის აპრილში თბილისში შეიქმნა ეროვნული ხელისუფლების ჩანასახი, - საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, რომელიც წარმოადგენდა პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა ნებაყოფლობით გაერთიანებას. მან თავის თავზე აიღო ქართული ეროვნული მოძრაობის კოორდინატორის ფუნქცია - სათავეში ჩაუდგა ეროვნულ მოძრაობას[.

ქართველი პოლიტიკოსების ინიციატივით ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა საბჭოთა რუსეთისგან გამიჯვნა გადაწყვიტეს. 1917 წლის ნოემბერში თბილისში ფუნქციონირება დაიწყო სამხარეო ხელისუფლების ორგანომ - ამიერკავკასიის კომისარიატმა. მას უნდა შეესრულებინა კომისარიატის სამხარეო ხელისუფლების ორგანოს ფუნქცია რუსეთში კანონიერი ხელისუფლების (დროებითი მთავრობის) აღდგენამდე[.

1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში გაიხსნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელმაც საბჭოთა რუსეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა, რომ თუ რუსეთში დემოკრატიული წყობილების აღდგენა დაგვიანებდა, მაშინ მოწვეულ იქნებოდა საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც აირჩიეს ნოე ჟორდანია[.

1918 წლის მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ოფიციალურად დაადასტურა გერმანოფილური საგარეო-პოლიტიკური კურსი. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ოფიციალურად შეუდგა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის მზადებას.

1918 წლის მაისის მეორე ნახევარში თურქეთის არმია აგრძელებდა შეტევით ოპერაციებს. მალე გაირკვა, რომ გერმანია უარს ამბობდა დაეცვა ანგლოფილური სომხეთი და თურქოფილური აზერბაიჯანი, ხოლო საქართველოს იმ შემთხვევაში დაიცავდა, თუ დაიშლებოდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა და საქართველო სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა[6].

1918 წლის 26 მაისს გოლოვინის გამზირზე, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, თავისი უკანასკნელი სხდომა ჩაატარა ამიეკავკასიის სეიმმა. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოცხადდა. იმავე დარბაზში შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. სხდომა გაიხსნა 4 საათსა და 50 წუთზე, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 5 საათსა და 10 წუთზე ერთხმად დაამტკიცა ,,საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი"].

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სსრ-ის არჩევნებში კომუნისტური პარტია დამარცხდა და ხელისუფლება გადავიდა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციის ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" ხელში[.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, - სურდა თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის საერთო რაოდენობის 90,3+%-მა, რომელთაგან 98,9+%-მა კითხვას დადებითად უპასუხა. ამის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი **დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე** საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იქნებოდა 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე. თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოს სახელმწიფოებმა და გაერომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს არა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრის, არამედ როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ[.

ლეგენდარული კობა წაქაძე 90 წლისაა

19 მაისს საზეიმოდ აღინიშნა ლეგენდარული ქართველი სპორტსმენის, კობა წაქაძის დაბადების დღე. ბატონ კობას 90 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ 90 წლის იუბილეს საქართველოს საამაყო სპორტსმენს, ბორჯომის საპატიო მოქალაქესა და საპატიო ბაკურიანელს, საიუბილეო თარიღს.

ბატონ კობას დიდი წვლილი მიუძღვის ბაკურიანისა და საქართველოს პოპულარიზაციაში.

კობა წაქაძე დაიბადა 1934 წლის 19 მაისს ბაკურიანში. პირველი დიდი წარმატება 40 და 70 მეტრიანი ტრამპლინებიდან ხტომაში სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაში მოიპოვა 1952 წელს.

კობამ ტრამპლინიდან ხტომისას ახალი სტილი გამოიგონა. ,,მთის არწივებს" მიბაძა, რომლებიც მსხვერპლის მოსატაცებლად ფრთებს სხეულზე მიიკრავდნენ, კისერს წაიგრძელებდნენ და ისარივით ეშვებოდნენ დაბლა. ამ მეთოდით ჩვეულებრივზე შორს გადახტა. შემდეგში ეს სტილი თანდათან დახვეწა და საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატებით იყენებდა. ისე იყო ჰორიზონტალურად წინ გადახრილი, რომ უცხოელმა ჟურნალისტებმა ტრამპლინიდან ამგვარ ხტომას „წაქაძის სტილი" უწოდეს, რადგან მსოფლიოში პირველად ის ქართველმა სპორტსმენმა შეასრულა.

ქართული სპორტის სიამაყეს - კობა წაქაძეს ინდივიდუალური სტილისა და გამორჩეული ტექნიკის გამო ,,მფრინავი ტორპედო"" უწოდეს. მას მოგებული აქვს 54 საერთაშორისო შეჯიბრი. იგი ექვსჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1953-1972 წწ.) და მონაწილეობდა ზამთრის ოთხ ოლიმპიადაში (1956-1972 წწ.). კობა წაქაძე სპორტის დამსახურებული ოსტატი და ღირსების ორდენის კავალერია.

კობა წაქაძის ახლობლებმა, მეგობრებმა და სტუმრებმა იუბილარს ბაკურიანის კინო-საკონცერტო დარბაზში ლამაზი და შინაარსიანი შეხვედრა მოუწყვეს.

ლეგენდარულ ვეტერან სპორტსმენს საიუბილეო თარიღი მიულოცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ფერაძემ**, ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა **ეკატერინე ორჯონიკიძემ**, გაზეთ ,,ბორჯომის" რედაქტორმა **ვალერიან ლომიძემ**.

შეხვედრა დაამშვენა ბორჯომის კულტურის სახლთან არსებულმა ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა (ხელმძღვანელი **გიორგი ბუგიანიშვილი**), ბაკურიანისა და წაღვერის მოცეკვავეთა ანსამბლებმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ კობას მეუღლე ქალბატონი მერი და ქალიშვილები ნონა და ნანა. გულაჩუყებულმა ნანამ სახელოვანი მამის მაგივრად გადაიხადა მადლობა. - ღონისძიება ჩავიწერეთ და სახლში მისვლისთანავე მამას ვაყურებინებთო. (ბატონი კობა საიუბილეო შეხვედრას ვერ ესწრებოდა, რადგან შეუძლოდ გრძნობდა თავს).

ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს ბორჯომის კულტურის სახლთან არსებულმა ანსამბლებმა. მისი ორგანიზატორები და მხარდამჭერები გახლდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტი და ბაკურიანის განვითარების სააგენტო.

მრავალჟამიერ, ბატონო კობა!

რუსუდან სხირტლაძე

დაიწყო წაღვერის პარკის რეაბილიტაცია

პროექტი ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. პარკი 10 500 კვ.მ. ფართობზე გაშენდება.

პროექტის მიხედვით, წაღვერის პარკში დაგეგმილია ბავშვთა გასართობი და მოსასვენებელი სივრცეების, კაფეს და სხვა კომერციული ობიექტებისთვის შენობების მოწყობა.

პარკში განთავსდება ფანჩატურები, ალპინისტური კედელი, ხიდები, წყლის არხი და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა.

ასევე მოეწყობა ფოტოგადაღების ჯიხური ,,ფოტო ხაჩიკა" და მისი მონუმენტი.

- ჩვენი გუნდი ყოველდღიურად ვცდილობთ ტურიზმის ხელშეწყობას, განვითარებას, საზოგადოებისთვის და ქალაქისთვის ახალი რეკრეაციული სივრცეების შექმნას. დაბა წაღვერში გაშენდება ახალი რეკრეაცია, ამ მიმართულებით ჩვენ ბოლო პერიოდში აქტიურად ვმუშაობდით და დარწმუნებული ვარ ეს ახალი ცენტრალური პარკი შექმნის ახალ მიზიდულობის ცენტრს ტურისტული თვალსაზრისით, ამასთან ჩვენს თანაქალაქელებს ექნებათ გართობისთვის და დასვენებისთვის ახალი, ძალიან მიმზიდველი სივრცე, - განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა**.

ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები 1 მაისს დაიწყო და წლის ბოლომდე დაასრულოს.

გილოცავთ, გვეამაყებით ახალგაზრდებო!

20 მაისი უმნიშვნელოვანესი დღეა სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის. მათთვის სკოლის დამთავრების ნიშნად ბოლო ზარი დაირეკა.

ჩემო უმცროსი მეგობრებო, თითოეულ თქვენგანს გილოცავთ სკოლის დამთავრებას და ცხოვრების ახალ ეტაპზე გისურვებთ წარმატებებს და წინსვლას.

რიგი მიზეზების გამო, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე პირადად მოსვლა თქვენ სკოლებში და ღონისძიებებზე დასწრება, რათა თითოეული თქვენგანისთვის მომელოცა ეს უმნიშვნელოვანესი დღე.

კიდევ ერთხელ გილოცავთ სკოლის დამთავრებას! საქართველოს თქვენი სახით პატრიოტი, ღირსეული და განათლებული მამულიშვილები ჰყავს!

ასევე დიდი მადლობა პედაგოგებსა და მშობლებს, თქვენს აღზრდაში გაწეული ღვაწლისთვის.

ოთარ არბოლიშვილი,
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის ღონისძიება გაიმართა.

ახალგაზრდების განწყობაზე მუსიკალურმა ბენდმა ,,4+2" იზრუნა.

მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში მოეწყო ფოტო კუთხე.

აბიტურიენტებს სიტყვით მიმართეს და სკოლის დამთავრება მიულოცეს ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა და დეკანოზმა **იოანემ (ხეცურიანი).**

წარჩინებულ სტუდენტებს - ფულადი ჯილდოები

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში უმაღლესი შეფასების მქონე მოსწავლეებისთვის ფულადი ჯილდო გაიზარდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტისგან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100+%-იანი გრანტის მფლობელს - 1000 ლარი, 70%+-იანი გრანტის მფლობელს - 700ლარი და 50%+-იანი გრანტის მფლობელებს ერთჯერადად 500 ლარი გადაეცემათ.

? ბორჯომის მუნიციპალიტეტი გრანტის მფლობელ სტუდენტთა წახალისების პროგრამას უკვე მეხუთე წელია ახორციელებს. პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდების წახალისებას და მოტივირებას.ბორჯომის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში უმაღლესი შეფასების მქონე მოსწავლეებისთვის ფულადი ჯილდო გაიზარდა.

ნიკიტა ხრუშჩოვიდან მშობლიურ „ფორმულამდე“...

ანუ უტიფარი სიტყვით - მკვლელები



დეა მამისაშვილი



ეკა მიშველაძე

ნინო ქიქილაშვილი

გასული კვირის პარასკევ საღამოს პრემიერი *ირაკლი კობახიძე* ქართული ზომიერი და პათოლოგიურად ბინძური ოპოზიციური (აი, ისეთი, არაფრის მოსმენა და გაგემა რომ არ სურთ!) მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. თავისი 21-წუთიანი გამოსვლისას ზოგადად ისაუბრა კანონის შინაარსზე და მისი მიღების საჭიროებაზე, ერთმანეთს შეუდარა ქართულ-რუსული ვარიანტები და ეცადა დამსწრე ჟურნალისტებისთვის, ტელემაყურებლებისთვის დაენახვებინა მათ შორის განსხვავება: დაადასტურა ხელისუფლების მზაობა ჟურნალისტებთან, ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასა თუ კერძო პირთან შეხვედრისა და საკითხის განხილვისთვის ისაუბრა საერთაშორისო პარტნიორობაზე. შარლ მიშელთან და სხვა ავტორიტეტულ პირებთან ბოლოდროინდელ შეხვედრებზე; ხაზი გაუსვა, რომ ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსის დამოკიდებულება ვერ შეარყევს ჩვენ სვლას ევროპისკენ, რომ საქართველოში არ არსებობს არავითარი რესურსი რევოლუციისთვის...

წესით, აქ უნდა დაგვემთავრებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, იძულებული ვარ ორიოდე არცთუ ტკბილი სიტყვა თქვა პრემიერთან შეხვედრაზე. მენვეული ტელეკომპანია „მთავარის“", „ფორმულასა“ და „პირველის“ წარმომადგენელი მდედრობითი სქესის, მიჭირს მათი ქალებად, საერთოდ, ადამიანებად მოხსენიება „ჟურნალისტების“ საქციელზე.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი საკმაოდ სოლიდური ასაკისა და თითქმის ორმოცწლიანი ჟურნალისტური საქმიანობის განმავლობაში ასეთ თავხედ, უზრდელ, ენაბილწ მოლაპარაკე არსებებს არსად გადავყრივარ - არც ჟურნალისტურ არენაზე, არც სოფლის ბირჟაზე და არც რომელიმე რუსულ საროსკიპოში.

„სამეულმა“ წარმოუდგენლად თავხედური ისტერიკა პრემიერის შესავალი სიტყვის დაწყებისთანავე წამოიწყო - ამხანაგო კობახიძე, ჩვენ აქ თქვენს მოსასმენად კი არა, საზოგადოებისთვის ჩვენი აზრების მისაწოდებლად მოვსულვართ და თქვენი უაზრო ლაილაით დროს ნუ გვაკარგვინებთ, პირდაპირ ჩვენ დავიწყებთ და ჩვენივე დავამთავრებთო. როცა ამაზე უარი მიიღეს, სათათბირო დარბაზი დატოვეს და პრემიერის დაახლოებით ოცწუთიანი გამოსვლის შემდეგ დაბრუნდნენ.

არავითარი განხილვაში მონაწილეობა, არავითარი შეკითხვა, არავითარი საშუალოდ ველური არსებისთვის დამახასიათებელი წამიერი ყუჩი - ხმამაღლა, გამომწვევად, უნიჭოდ და ხაზგასმული თავხედობით - ამხანაგო კობახიძე, გვითხარით, ხართ თუ არა აგენტი? ხართ თუ არა, ქურდი და მექრთამე? ხართ თუ არა უზურპატორი? ხართ თუ არა დამნაშავეთა მფარველი, მოძალადე და მკვლელი? როდის უნდა დაამთავროთ თქვენი მავნებლური საქმიანობა?

არც ერთი თუნდაც გადაკრული სიტყვა განსახილველ საკითხებზე და ასე თითქმის საათნახევრის განმავლობაში, ვიდრე იქ დამსწრე სხვა ჟურნალისტებს მოთმინება არ შემოელიათ.

„ფორმულა-მთავარი-პირველის"“ წარმომადგენელთა პარასკევულ - არ ვიცი, რა სახელი დავარქვა - ამაზრზენ გამოხდომას აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო არც ქალურობასთან, არც განათლებასთან, არც ჟურნალისტიკასთან, არც ოჯახში გაზრდილობასთან და არც ადამიანობასთან.

პროფესიონალიზმს არც ვახსენებ. როგორც ჩემმა უფროსმა მეგობარმა, ერთობ გამოცდილმა რედაქტორმა სპარტაკ ქობულიამ ბრძანა, ეს იყო ბინძური ენით ირაკლი კობახიძის მკვლელობის, სიტყვითმკვლელობის მცდელობა.

ბარაქალა ირაკლი კობახიძეს, რომ პროვოკაციას არ აპყვა და იმ მდედრ არსებებთან მძორნე მხოლოდ მცირე სიტყვიერი დაპირისპირებით შემოიფარგლა. თუმცა მისი მისამართით ერთი პატარა საყვედური მაინც უნდა ვთქვა: როგორც პრემიერს, მეტი მოთმენა მოგეთხოვებათ - საერთოდ რომ არ გეპასუხათ, ეს გაუგებარი ჯიშისა და დანიშნულების უზრდელი, უტიფარი არსებები საკუთარ თავს კიდევ უფრო „გამჭვირვალედ“ წარმოადგენდნენ.

თეიმურაზ ქორიძე
12.05.2024

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №56 13 მაისი

(იბეჭდება შემოკლებით)

მწყემსი კეთილი...

მეგობრები ჩამომივიდნენ თბილისიდან და გავისეირნეთ ცემისაკენ, განსხვავებულად მოწონთ იქაური ბუნება. უკანა გზაზე დაუგეგმავად ჩამოვიარეთ ტიმოთესუბნის მონასტერში, შეუძლებელია ბორჯომში სტუმრად ჩამოსულმა ადამიანმა ტიმოთესუბნის მონასტერი არ მოინახულოს და ტაძარში სანთელი არ დაანთოს. ხანში შესული მამაო იჯდა იქვე, თავისი თეთრი წვერითა და საოცრად მშვიდი ღიმილით. მივესალმე მორიდებით, თვალი მოვავლე იქაურობას და მოსახსენებელი წიგნი მომხვდა თვალში, ელვასავით გამახსენდა, ძველში რომ ვეღარ ვატევდი გარდაცვლილებს... და რა ხანია შეცვლა მინდოდა... ფასი ვიკითხე მორიდებით, მოვიძიე და არ მქონდა, მეგობრებშიც ვიკითხე და არანაირი თანხა არ აღმოაჩნდა არცერთს, მხოლოდ ბარათებზე... ვიკითხე, ბარათით გადახდა თუ იყო შესაძლებელი, და... - წაიღეო, - მამამ უცბად, ძალიან უბრალოდ და საოცრად თბილი ღიმილით მითხრა. გავიკვირვე,

არ ვიღებდი და... - **„მართლა სავაჭრო ადგილი ხომ არაა, შვილო, აიღე ისე, რა მოხდა მერე“-ო.** მადლიერებითა და საოცარი სითბოთი მოვკიდე ხელი მოსახსენებელს და გამოვედი მაღაზიიდან. შევედი მონასტერში, მოვილოცე, იქიდან გამოსული ისევ იმ მაღაზიაში შევბრუნდი, კვლავ მადლობის გადასახდელად და სახელიც ვიკითხე - **მამა პანტელეიმონი. მრავალჟამიერ თქვენს სიკეთეს „მწყემსო კეთილო“**. დავემშვიდობე მადლიერად, გამოვედი, დავადექი გზას, არ მეთმობოდა რაღაცნაირად, უკან მივიხედე და თავადაც გამოსულა მაღაზიიდან... ის მშვიდად იდგა გზაზე და რაღაცნაირად თავის თავის ოცნებებში ატარებდა სიცოცხლის წლებს. ჩუმად გამოვიყოლე ფოტო მის სასწაულსითბოიან ღიმილთან ერთად... და გამახსენდა ანდაზა: **„სიკეთე მზის შუქსა ჰგავს - ანათებს და ათბობსო.“**.

მადლობა ასეთ მამაოებს, რომლებიც ამდაგვარი უბრალო ბრალიანი სიკეთითა და ადამიანობით თავიანთ სულსა და გულში ქრისტეს აცოცხლებენ... „მამაო ჩვენო“, რომელი არ ხარ ლურჯ „ცათა შინა" და რომელიც აქვე, ჩვენს სულებში ხარ“.

უფალს ვთხოვოთ სიყვარულის ნიჭი მოგვცეს და გზა ცხოვრებისა ამქვეყნიური გაგვავლევინოს ღირსეულად... ადამიანებს ადამიანისიანობა უნდა შეგვეძლოს! „ქრისტე ხომ გახსოვს“ ყველას მიმართ გულის მხარით იდგა.

ნანა კეკლიშვილი.

არის ბახტრიონი

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბახტრიონის აჯანყების თარიღი გაორებულია. ადრე მიიჩნევდნენ, რომ „ქართველთა შეიარაღებული გამოსვლა ყიზილბაშების წინააღმდეგ 1659 წელს მოხდა, ხოლო ამ ბოლო დროს ამ გმირულ ისტორიაში უფრო ხშირად მეორე თარიღი ფიგურირებს - 1660 წელი.

რაც ნამდვილია, ის არის, რომ **ბახტრიონის აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შუამთის ტყეში ყიზილბაშების მიერ ქართველი მღვდლის გაუპატიურება გახდა,** როცა მამათმავალი დამპყრობლების მიერ გაუბედურებული ქართველი ხუცესი დუშეთში **ზაალ არაგვის-ერისთავთან** ავიდა და შეზარხოშებულ ქართველ თავადებს განუცხადა - **ყიზილბაშებმა ასე და ასე მიქნეს და თუ ამ შეურაცხყოფას მოითმენთ, ურჯულოები თქვენც სათითაოდ აგხდიან ნამუსსო!**

წყაროები ერთხმად მიუთითებენ, რომ ზაალ არაგვის ერისთავისა და სასახლეში მყოფი სხვა ქართველი თავადაზნაურების შესაგულიანებლად დიდი როლი ითამაშა **ზაალ არაგვის ერისთავის ცოლმა**, რომელიც დარბაზში შემოვიდა და იქ მყოფებს მოუწოდა, სასწრაფოდ იარაღი აეღოთ ხელში და ყიზილბაშები გაეწყვიტათ!

ქართველები აჯანყდნენ...

მთელი კახეთი და თუშ-ფშავ-ხევსურეთი **ნადირა ხოშარაულის, გოგოლაურის, ზეზვა გაფრინდაულისა** და სხვა სახალხო გმირების მეთაურობით, რომლებსაც **ბიძინა ჩოლოყაშვილი და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები** ხელმძღვანელობდნენ, ბახტრიონსა და ალავერდში შეიჭრნენ და **გაწყვეტილასთან** დაახლოებით 30 ათასამდე ყიზილბაში ამოწყვიტეს!

ამ ამბიდან 365 წლის შემდეგ, 2024 **წლის 17 მაისს**, ოჯახის სიწმინდის დაცვის დღეს, საქართველოში კიდევ მოხდა ბახტრიონის აჯანყება, მაგრამ უსისხლოდ... თუმცა, დარწმუნებული ვართ, რომ ამ უსისხლო ბახტრიონს ქვეყნისთვის იმაზე არანაკლები პოლიტიკური შედეგი ექნება, ვიდრე ყიზილბაშების სისხლში ნაბან ბახტრიონს ჰქონდა. **დღევანდელი ბახტრიონის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ათეული წლების განმავლობაში დაგროვებული შეურაცხყოფასთან და ევრო-ამერიკულ ცრუქაქუნობასთან ერთად ისიც იყო, რომ გერმანიიდან ჩამოთრეულმა ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, გათხოვილმა კაცმა შიხაელ როთმა უკადრებელი იკადრა და მართლმადიდებლობა შეგვიგინა, ხოლო ამ საშინელი შეურაცხყოფის შემდეგ ეს მართლაცდა „მახროვი“. პედერასტი დანარჩენ ამ- ფსონებთან ერთად. ოპოზიციის სცენაზე ხვლიკივით აძვრა** და **მამუკა ხაზარაძეს, სათენიკა სამადაშვილს, კონჩიტა ნიკუტა გვარამიასა** და შარვალჩახდილ **ზურაბ გირჩს** კოცნა დაუწყო... როგორც მოსალოდნელი იყო, არცერთმა სოდომისტმა ოპოზიციონერმა | მომხდარის გამო როთს შენიშვნა არ მისცა და ხმადაბლაც კი ვერ ამოიწკმუტუნა, რომ სტუმარი და, მითუმეტეს, დიპლომატი, სხვის ქვეყანაში ასეთ რამეს არ უნდა ბედავდეს!

მოკლედ, თბილისში, შუა რუსთაველზე, ქართველი მამათმავლების, ლესბოსელებისა და უცხოეთიდან მათ მხარდასაჭერად ჩამოთესლებული გათხოვილი კაცებისა თუ ცოლიანი ქალების დოღმამ ის შედეგი გამოიღო, რომ ქართველი ერი გაბრაზდა დაიქუხა...

მართლაც, 2024 წლის 17 მაისს მთელი საქართველო ფეხზე დადგა. ყველაზე უფრო პესიმისტური გათვლით, მთელი საქარ- თველოს მასშტაბით, ქუჩაში დაახლოებით მილიონი ქართველი გამოვიდა! მიჩნეულია, რომ მთელი ეროვნული მოძრაობის |ისტორიაში თბილისში ყველაზე მეტი ხალხი 1992 წლის 2 თებერვალს შეიკრიბა. ეს დემონსტრაცია საქართველოს დამაქცევრებმა დახვრიტეს.

დიახ, 1992 წლის 2 თებერვ-ლის მიტინგი დღემდე ითვლებოდა კულმინაციად და დაუძლეველ რეკორდად, რადგან იმდენი ხალხის ერთად შეკრება ვერავინ შეძლო, მაგრამ 2024 წლის 17 მაისს ქუჩაში უფრო მეტი ქარ- თველი გამოვიდა და დადასტურდა, რომ ლესბოსელები, მესაჯდომეები, გერმანიიდან ჩამოსული გათხოვილი კაცები და ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრის - კოლბრუნის მსგავსი ცოლიანი ქალები საქართველოში ტახტს ვერასოდეს დაიდგამენ!

პარალელურად, ხალხმრავალი აქციები გაიმართა ზუგდიდში, ბათუმში, რუსთავში, მესტიაში, თელავში, ახალციხეში და თითქმის ყველა რაიონში, მაგრამ პროცენტულად ყველაზე მეტი ქართველი, ალბათ, მაინც ქუთაისში გამოვიდა!

როგორც მოსალოდნელი იყო, 2024 წლის 17 მაისის ბახტრიონს არ თანაუგრძნობდნენ და განზე გადგნენ ის საყურიანი ბიჭები თუ ჭიკჭახუნა გოგოშკები, რომლებსაც თავზე **კეზერაშვილის, ეკა გიგაურის, სამადაშვილის, ხაზარაძის**, ანდა სულაც **მიხაელ როთის** საწმერ-თული აქვთ ჩამოცმული და ქვეყანას გამიზნულად მტრობენ. მოკლედ, 17 მაისს მთელი ქართველი ერი გამოვიდა საომრად, რათა ჩვენი მართლმადიდებლობა და ეროვნულობა დაეცვა, ხოლო კეზერაშვილის ცოლისძმის - **დიმა ჩიქოვანის** კარადაში გაიმასქნილები, კლავიატურას მიუსხდნენ და მედიასა და სოციალურ ქსელებში სიბინძურე აფრქვიეს.

ერთმა აქცია გააქილიკა და ღლიცინი დაიწყო - დემონსტრაციაზე ცხენოსნების გამოყვანა რაღა იყოო?! ამის დამწერი იქვე მოაყუჩეს - „ყ...ზე (ცენზურა ჩვენია. რედ.) გადამჯდარი კაცები ცხენზე გადამჯდარ კაცებს ნუ დასცინითო!

ბოკერიას ისტერიჩკა ცოლმა, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ცხენებისა და ცხენოსნების აბუჩად ასაგდებად სახლში სათამაშო ზებრას გადააჯდა და ამ ქაჯზმის ამსახველი ფოტო ფეისბუქზე ისე გამოფინა, როგორც ნეტარმა **სოფო ჯაფარიძე**-სააკაშვილის ნიფხვები და ბოტასები „მომაკვდავი“ სააკაშვილის მავზოლეუმში!

ვინმე **დავით სამხარაძემ** ისიც კი ინატრა - ღმერთო, თუ მართლა არსებობ, 17 მაისს ისეთი წვიმა დაუშვი, მღვდლის ანაფორას ცხენი მიათ-რევდესო!

სამხარაძეს იქვე უპასუხეს - მამაზეციერს შევთხოვთ, სამი მხრიდან დაგეძგეროს ის, რაც **მიხაელ როთს** მისმა იმავე სქესის ქმარმა საქორწინო ღამეს დაატაკაო.

მამუკა ხაზარაძის ლგბტ „უბორნიის“ ცნობილი ბინადარი, უწმინდური: ლაშა ბუღაძე უფრო შორს წავიდა და დაწერა - 17 მაისი ოჯახის სიწმინდის კი არა, ფარისევლობის დღეაო!

მაგრამ, რაც „ალ კუპონე“ გოცირიძემ ქნა, ისეთი ჯერ არავის უქნია! ცხრა ღობეზე გადამხტარმა და კაგებეშნიკმა არაკაცმა ჯერ ვიდეომიმართვა ჩაწერა და ხალხს მოუწოდა, **17 მაისს აქციაზე ნუ გახვალთო, მერე ეკლესია ლანძღა, ხოლო სულ ბოლოს განგვიმარტა - 17 მაისი ჰომოფობიასთან ბრძოლის დღეა, რომელიც პატრიარქმა მოიპარაო!** თუმცა, ცოტა ხანში **გოცირიძემ** ეს ყველაფერი წაშალა და შეშინებული თახვივით, რომელიც საფრთხის მოახლოების შემთხვევაში საკუთარ ასოს იკვნეტს ხოლმე, დაიმალა...

მოიკვნიტა თუ არა რომანამ საკუთარი ასო, არ ვიცით, მაგრამ ერთი რამ გასარკვევია - 1991 წლის შემოდგომაზე, როცა იგი თბილისის ზღვაზე აჯანყებულ **თენგიზ კიტოვანთან** დაეთრეოდა, ერთ-ერთი ვიზიტის დროს ალ-კუპონამ რაღაც წამოაყრანტალა, რის გამოც დასაჯეს და ვიღაც ბანჯგვლიან კაცთან ერთად, სადღაც ჩაკეტეს... დაახლოებით ერთი საათის შემდეგ რომან გოცირიძე იმ ოთახიდან თმაგაჩეჩილი, ულვაშებდაპუტული, აზლუქუნებული და ხმაგაწვრილებული გამოვიდა... ხოლო ის ბანჯგვლიანი კაცი, რომელიც ძალიან ჰგავდა **დევი ჭანკოტაძეს**, „შახმატის“ ცხენივით იკრიჭებოდა და კიტოვანს თვალს უპაჭუნებდა!

ქვეყანამ იცის, რომ **ლაშა ბუღაძეს** არ ახსოვს სინამდვილეში გააუპატიურეს თუ არა „ტყავისქურთუკიანმა“ და „გაბრაზებულმა კაცებმა, რომლებიც მას ვალსის ცეკვის დროს საეჭვოდ კოცნიდნენ, **მაგრამ იქნებ რომანამ მაინც გაიხსენოს, რა უქნეს პუტჩისტებმა თბილისის ზღვაზე?**!

1659 წელს ბახტრიონთან მთელი საქართველო გაერთი- ანდა და გაიმარჯვა!

გვჯერა, არც 2024 წლის 17 მაისის ბახტრიონი ჩაივლის უკვალოდ და საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს!

დიტო ჩუბინიძე

გაზეთი „ასავალ-დასავალი“
20–26 მაისი №22

ყველაზე ბედნიერები ხატვის დროს არიან

ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ხშირად მიწევს სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე დასწრება. მათ შორის არც ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში გამართული ღონისძიებებია გამონაკლისი. რამდენიმე ღონისძიებაზე ჩემი ყურადღება ორმა, თავისი ასაკისათვის შედარებით მაღალმა, თხელმა, პეპელასავით მოფარფატე გოგონებმა მიიპყრეს. ეს საყვარელი გოგონები დები - ანასტასია და იოანა ჯალაღონიები არიან. ისინი ბორჯომის №3 საჯარო სკოლაში სწავლობენ. ანასტასია მესამე კლასის მოსწავლეა, ხოლო იოანა მეოთხე კლასშია. მუსიკალურ სკოლაში მათი პედაგოგები მარინა და ქეთევან გელაშვილები არიან. გოგონები მუსიკის გარდა ცეკვავენ, მღერიან, ხატავენ. აი, ხატვა კი შემთხვევით არ მიხსენებია, რადგანაც გოგონების დედიკომ, ანსამბლ „ნენანას“ წევრმა ნანა გელაშვილმა ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელში იოანას პორტრეტული ნახატი გამოაქვეყნა, სადაც მეუფე სერაფიმე ჯოჯუაა გამოსახული. პორტრეტიდან, იოანას თვალით დანახული მეუფე სერფიმე გვიმზერს. მინდა, რომ ამ საოცრად კარგ გოგონებს ჩვენი გაზეთის მკითხველებიც აუცილებლად იცნობდეთ. მათ დედიკოს, ნანა გელაშვილს ვთხოვე, გოგონების შესახებ მოეყოლა:

- ჩემი გოგონების ყოველი დღე განსხვავებულია, სკოლის გარდა დადიან მუსიკაზე, სიმღერაზე, სალოტბარო სკოლაში, ქართულ ცეკვაზე ანსამბლ „ფერხისში“, ხატვაზე კულტურის სახლში პეტრე დიასამიძესთან და ასევე ნანა ყორანაშვილთან. დამატებით სწავლობენ ინგლისურს. თუმცა, მაინც მგონია, რომ ყველაზე ბედნიერები ცეკვისა და ხატვის დროს არიან. ტასოს პეიზაჟების ხატვა მოსწონს, ხოლო იოანას პორტრეტების.

მეუფის პორტრეტზეც ვისაუბროთ...

- დიახ, როდესაც ნახატი მომიტანა და მაჩვენა, გავოგნდი, მაშინვე ვკითხე, მასწავლებელმა ხომ არ დაგიხატა? მიპასუხა, ცოტათი დამეხმარა, მინდოდა მე დამეხატა მეუფეო. მე და ჩემი ანსამბლის გოგონები მეუღლეებთან და შვილებთან ერთად ვიმყოფებოდით მეუფე სერაფიმეს სანახავად. სულ თოთო რომ იყო, ტაძარში ხშირად დამყავდა, ვაზიარებდი, თუმცა მას შემდეგ, რაც მეუფე სერაფიმე ჩვენი ეპარქიიდან წავიდა, მინდოდა, ცოდნოდათ ჩემ შვილებს მეუფის შესახებ, რადგანაც ის ასევე ჩემი ძმიშვილის ნათლიაკაა. მას შემდეგ, რაც პირადად ნახა, სულ ახსენებდა. იოანას დახატული პორტრეტი ჩემ ძმას გავუგზავნე და მეუფეს რომ უნახავს, შემოგვითვალა, დამიბეჭდეთ და კელიაში ჩამოვკიდებო.

ნანა, დღეს, ტელეფონებისა და გაჯეტების ეპოქაში, რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვების სულიერად აღზრდა და როგორ ახერხებ ამ ყველაფერს?

- გოგონები წირვა-ლოცვაზე დადიან ლიკანში მამა გაბრიელის სახელობის ტაძარში, ეზიარებიან. მათი მოძღვარი მამა ლუკა რუსაძეა. ხშირად ვფიქრობ, რომ ძალიან დაკავებულები არიან, თუმცა მობილურ ტელეფონში ყურებისას დროის კარგვას, მირჩევნია, ცოდნა მიიღონ. თამაშისთვისაც რჩებათ დრო. საღამოობით ხშირად ვსეირნობთ, ვსაუბრობთ.

უმცროსი ვაჟი, ვაჩეც გყავთ, რამდენად იღებენ დები მონაწილეობას მისი აღზრდის პროცესში?

- ვაჩე ორი წლისაა, ძალიან ცელქი ბიჭია. გოგონები აქტიურად არიან ჩართული ვაჩეს აღზრდის პროცესში. ასეირნებენ, ეთამაშებიან, უვლიან და ზრუნავენ როგორც შეუძლიათ.

ნანა, შვილებისთვის დამოუკიდებლობა რამდენად მნიშვნელოვანია?

- რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, ვცდილობ, დამოუკიდებლობას მიეჩვიონ. ყველაფერზე ერთად დადიან, ერთმანეთის დიდი იმედი არიან. მეც მშვიდად ვარ ხოლმე.

ძალიან დიდია თქვენი როლი მათ მუსიკალურ განვითარებაში, რადგანაც განათლებით მუსიკის პედაგოგი ხართ. რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებიან დავალებებს?

- როგორც პედაგოგს - ვერაფერს გამომაპარებენ. ხან ხდება ისე, რომ ეზარებათ ნაწარმოების გარჩევის პროცესი, თუმცა, როდესაც სწავლობენ, ყოველთვის ცდილობენ, რომ რაც შეიძლება კარგად დაუკრან.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ საკმაოდ პატარები არიან, თუ საუბრობენ ხოლმე მომავალ პროფესიაზე?

- დიახ, იოანას უნდა მხატვარი გამოვიდეს. ტასოს მოდელობა სურს, თუმცა ცეკვაც მოსწონს.

მომავალ პროფესიას როცა ეხება საქმე, რამდენად მნიშვნელოვანია შვილებისათვის, მშობლის გვერდში დგომა?

- ჩემთვის და ჩემი მეუღლისთვის მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა განათლება მიიღონ. ამიტომაც, მათი სურვილი ნებისმიერი პროფესიის არჩევისას სრულიად მისაღები იქნება. ჩვენ, როგორც მშობლები ვალდებულები ვართ, მათი ოცნებების ასრულებაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ და დავეხმაროთ რითიც შეგვიძლია.

ესაუბრა ნატო მელიქიძე

ბორჯომში საპილოტე პროგრამა განხორციელდება

მაისიდან ბორჯომის მუნიციპალიტეტში „მშობლების პროგრამის“ განხორციელება დაიწყო. პროგრამა მხოლოდ 6 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებისთვისაა განკუთვნილი და მისი მიზანია მშობლებისთვის აღზრდის თანამედროვე მიდგომებისა და სტრატეგიების გაცნობა. აღნიშნული პროგრამის დეტალებზე ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელი, ქალბატონი ნინო ბენდელიანი გვესაუბრება.

ქალბატონო ნინო მართლაც ძალიან კარგი სიახლეა მშობლებისათვის. დეტალურად რომ ვისაუბროთ, რას გულისხმობს აღნიშნული პროგრამა და რა არის ამ პროგრამის მთავარი მიზანი?

- მადლობა თქვენ აღნიშნული თემით დაინტერესებისთვის. ახლა რაც შეეხება უშუალოდ პროგრამას, მოგახსენებთ, რომ უკვე მესამე საპილოტე პროგრამა ხორციელდება ბორჯომის მუნიციპალიტეტში. პირველი საპილოტე პროგრამა გახლდათ ახალი კურიკულუმი ,,თამაშის“ დანერგვა, მეორე ეტაპი იყო აღმზრდელების გაძლიერება, ხოლო მესამე ეტაპი გახლავთ ზემოთ აღნიშნული მშობლების პროგრამა და მისი მთავარი მიზანია მშობლის როლის ჩართულობა საბავშვო ბაღის თანამედროვე მიდგომების განხორციელების პროცესში.

აღნიშნული პროგრამა როგორც ვიცით, სიახლეა და ბორჯომის გარდა კიდევ სხვა მუნიციპალიტეტებიც თუ არიან ჩართულები?

- დიახ, ეს გახლავთ საპილოტე პროგრამა და ბორჯომის გარდა კიდევ ხორციელდება 5 მუნიციპალიტეტში. ჩვენთვის ერთგვარი გამოწვევაა ნამდვილად.

მშობლის პროგრამაში ჩართვა მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების ყველა მშობელს შეუძლია? და უშუალოდ ვის უნდა მიმართონ ამისთვის?

- ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების გვერდზე დევს ინფორმაცია აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, რომელსაც თან ახლავს სარეგისტრაციო ფორმა. რეგისტრაცია ნებაყოფლობითია და ამ ეტაპზე, მხოლოდ 30 დარეგისტრირებული მშობელი ჩაერთვება.

რაც შეეხება უშუალოდ პირისპირ შეხვედრებს. კვირაში რამდენი დღე ჩატარდება და ვინ გაუძღვება?

- შეხვედრები კვირაში ერთი დღე ჩატარდება და მას გაუძღვებიან კვალიფიციური, კომპეტენტური და რაც მთავარია, საკუთარი საქმის პროფესიონალი ადამიანები, 1 მეთოდისტი და 4 აღმზრდელი.

რაც შეეხება, თქვენ როგორც გაერთიანების ხელმძღვანელს, რა მოლოდინები გაქვთ აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით?

- ჩემი, როგორც დაწესებულების დირექტორის მოლოდინებიც და მთავარი მიზანიც სისტემის გაძლიერებაა, ახალი მეთოდოლოგიის დანერგვის პროცესში ყველა რგოლის გაძლიერება და ჩართვა, დაწესებულების გამართულად ფუნქციონირებისთვის საჭირო და აუცილებელია პერსონალთან ერთად მშობლების ინფორმირებულობა და გაძლიერება, ვინაიდან და რადგანაც საზრუნავი ერთი გვაქვს, ეს არის ბავშვი და ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

ნატალია მესხელი

ვიცოდეთ ჩვენი ხეობის ისტორია

ცოტა რამ „ჭაჭარაქზე“

არსებობს ზეპირი გადმოცემა, თითქოს ძველ დროში, როდესაც ახალდაბა ქალაქი იყო, მის გარშემო ცხრა სოფელი ყოფილა, რომლებიც სურსათ-სანოვაგით ამარაგებდნენ ქალაქის მცხოვრებლებს. ზოგიერთი სოფლის სახელმა ჩვენს დრომდე მოაღწია, ზოგის სახელი საერთოდ დავიწყებულ-დაკარგულია. ახალდაბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე ნეძურას მარჯვენა მხარეს, მთა „ბებერასერის“ ძირში დღემდე შემორჩენილია ნანგრევები, რომელიც მენაბდიშვილის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის სახელითაა ცნობილი. ეკლესია საშუალო ზომისაა, ნაგებია რიყისა და კლდის საშუალო და დიდი ზომის დამუშავებული ქვის კვადრებითა და კირის დულაბით. ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში და არც ზეპირ გადმოცემებში „მენაბდიშვილის“ გვარის შესახებ არაფერია ცნობილი. ჩვენი ვარაუდით იგი დიდგვაროვანთა წრეს არ ეკუთვნოდა, მაშ, ვინ უნდა ყოფილიყო პიროვნება, რომელმაც თავისი სახსრებით შეძლო აეშენებინა საშუალო ზომის ქვის ეკლესია?! სავარაუდოა, რომ იგი საკმაოდ შეძლებული უნდა ყოფილიყო. დაბალი წრის ადამიანს ძველ დროში, ქონების დაგროვების საშუალებას ამ კუთხის მეპატრონე არ მიცემდა, მითუმეტეს ეკლესიას მის სახელზე არავინ ააშენებინებდა. ჩვენი აზრით მენაბდიშვილი ამ ტერიტორიაზე საცხოვრებლად მაშინ უნდა მოსულიყო, როდესაც ახალდაბა ხშირი ომიანობის შედეგად დაცლილი იყო მოსახლეობისაგან. ასეთი ძნელბედობა ახალდაბისთვის იშვიათობას არ წარმოადგენდა, ერთ-ერთი ასეთი უბედურება საქართველოს თავს დაატყდა არაბების, კერძოდ, 735-738 წლებში. მურვან ყრუს შემოსევების დროს. IX-X საუკუნეებში საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით დღევანდელ ბორჯომის ხეობაში შედარებით სიმშვიდე დამყარდა. სწორედ ამან შეუწყო ხელი ამ მხარეში სამონასტრო მშენებლობას. ამ დროს აშენდა ხეობაში და კერძოდ, ახალდაბაში მრავალი ეკლესია-მონასტერი. სწორედ იმდროინდელი აშენებული უნდა იყოს მეცნიერთა ვარაუდით, როგორც მენაბდიშვილის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია ისე სხვა ეკლესია-მონასტრები.

,,მენაბდიშვილის“ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ირგვლივ, დღეს არსებულ სასაფლაოზე, ზოგიერთი ახალი საფლავის ამოთხრის დროს, შემთხვევით აღმოჩენილა ადამიანის თითქმის დაშლამდე მისული ძვლები. მათი ხნოვანება აღბათ, მრავალ ასეულ წელს ითვლის. ეჭვს გარეშეა, რომ აღნიშნული ძვლები ეკუთვნოდა აქ არსებული სოფლის მცხოვრებლებს. აღნიშნული სოფლის სახელი დაკარგულია ისე, როგორც მრავალი ნასოფლარის სახელები, როგორც საკუთრივ ახალდაბაში ისე მის ირგვლივ არსებულ სოფლებში და ზოგადად ამ მხარეში.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ახალდაბაში და კერძოდ, ჩვენ საკვლევი ობიექტების მიდამოებში დღემდე არ არის მიკვლეული იმ ნასახლარების ნაშთები, სადაც შესაძლებელია ამ კუთხის მფლობელი სახლობდა. ჩვენი ვარაუდით, ასეთი ადგილი შეიძლება იყოს ,,მენაბდიშვილის“ ეკლესიის საამრეთით დაახლოებით 300-400 მეტრის დაშორებით მდინარე ნეძურას მარცხენა მხარეს, იქ სადაც დღეს ჯამბულ და მალხაზ ჩადუნელები ცხოვრობენ. აქ შეიმჩნება ნანგრევების კვალი, რომლის სიგრძე დაახლოებით 50-60-30-40 მეტრია.

ზემოთ აღნიშნული ნასოფლარიდან მდინარე ნეძურას აყოლებით დაახლოებით 2-2,5კმ. დაშორებით არის მეორე ნასოფლარი, რომლის ძველი სახელწოდება ჩვენამდე მოღწეული არ არის. აქ მდინარე ნეძურას მარჯვენა მხარეს, ტყის პირას, მშვენიერ ბუნებაში მდებარეობს IX-X საუკუნეების საკმაოდ მოზრდილი წმინდა გიორგის სახელობის სამნავიანი ბაზილიკა. ეკლესიის ამშენებლის ვინაობა დღემდე უცნობია. ეკლესია აშენებულია რიყისა და კლდის კარგად დამუშავებული ქვებითა და დულაბით. ეკლესიის მთავარი ნავის გადარჩენილი კედლების კარნიზის თავზე, იქ სადაც მთავარი ნავის თაღოვანი გადახურვა იწყება, ერთმანეთის მიჯრით, ტუჩით შიგნითკენ, დაწოლილ მდგომარეობაში დალაგებული იყო თანაბარი ზომის საშუალო ტევადობის (5-7ლტ.) დოქები, სპეციალისტთა განმარტებით ოთხივე გვერდის თავზე ასეთივე დოქები იქნებოდა განლაგებული კარგი აკუსტიკისათვის. ეკლესიის მთავარი ნავი რესტავრირებულია 2002-2003 წლებში. იმდროინდელი კავშირგაბმულობის მინისტრის ბატონი **ფრიდონ ინჯიას** უშუალო მონაწილეობით.

ამ ორი უძველესი ნასოფლარის შესახებ არსებობს ასევე ლეგენდა., რომელიც სხვადასხვა დროს მიამბეს ამ რამდენიმე წლის წინ ახალდაბელმა **ნიკალა ქველაძემ და თედო ჩადუნელმა.** ,,ერთ-ერთ სოფელში ცხოვრებულა შეძლებული მეჯოგე, რომლის ცხვარ-ძროხა ზაფხულობით აიალაღებდა. მთა ქარტის (ზ.დ.2315მ) მიდამოებში. ის კაცი ძალიან მდიდარი ყოფილა, მთაში მოწველილი რძე თიხის მილებით ჩამოჰქონდათ სოფელში და აქ ხდებოდა მისი დამუშავება. მანძილი ქარტიდან სოფლამდე დაახლოებით 3,5-4,5 კმ.-ია.

მდინარე მტკვრის მარცხენა მხარის ახალდაბაში ცხოვროებულა არანაკლებ მდიდარი პიროვნება, რომელსაც დიდ მამულებზე ჰქონია გაშენებული ვენახი, აქ მოწეული ყურძნით იგი აწარმოებდა დიდი რაოდენობის ღვინოს და შემოსავალიც კარგი ჰქონია. ღვინის მფლობელის ვაჟს შეჰყვარებია მეჯოგის ქალიშვილი და გაუგზავნია შუამავალი. მეჯოგეს წინადადება არ მიუღია და შეუთვლია, შენ ღარიბი ხარ, ქალს ვერ გამოგატანო... მეღვინეს უპასუხია, მე იმდენი ღვინო მაქვს ორ წისქვილს სამი დღედალამე დავატრიალებო. მეჯოგეს შეუთვლია, შენ თუ ღვინით დაატრიალებ მე რძით დავატრიალებო“! თუ, როგორ დამთავრდა მათ შორის აღნიშნული ამბავი, არავინ იცის, მაგრამ ფაქტია, ლეგენდა მათ აუწონავ სიმდიდრეზე მეტყველებს.

გადიოდა წლები. მრავალმა წყალმა ჩაიარა მდინარე ნეძურას კალაპოტში. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, სხვა მხარეებთან ერთად, ჩვენს ხეობაშიც დამყარდა სიმშვიდე. მტერთა ხანგრძლივი შემოსევებისგან გაპარტახებულ ადგილებში დაიწყო მოსახლეობის ხელახალი მოსვლა-დასახლება. ბორჯომის ხეობა თითქმის მთლიანად იყო დაცლილი, რამდენიმე ადგილზე თუ იყო თითო-ოროლა ოჯახი შემორჩენილი.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (1864 წ.) მასიურად დაიწყო ბორჯომის ხეობაში მიტოვებულ სოფლებში მოსახლეობის დასახლება. 1900-იან წლებში ზემოთ აღნიშნულ ნასოფლარებში, რომლებიც მდებარეობს ახალდაბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მთა ღორისნამკალიდან (ზ.დ.1706მ) სავარაუდოდ თავადმა ლევან სავანელმა ჩამოიყვანა ჩადუნელის ხუთი და ლომიძის ოთხი ოჯახის გვარის ხალხი. ჩადუნლები დაასახლა მენაბდიშვილის წმ.გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო ლომიძეები 2,5-3 კმ. ზემოთ ნასოფლარში, სადაც იყო საკმაოდ მოზრდილი სამნავიანი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. მას შემდეგ ჩადუნლების საცხოვრებელ ადგილს უწოდეს ქვედა ჭაჭარაქი, ხოლო ლომიძეების საცხოვრებელ ადგილს ზედა ჭაჭარაქი.

სავანელმა ახალი მოსახლეები უზრუნველყო სალოცავი ეკლესიებითა და იქვე არსებული სავარგულებით, როგორ მოხვდნენ ჩადუნლები და ლომიძეები მაღალ მთაზე, რომელსაც ღორინამკალს ეძახიან? ისინი ცხოვრებულან ხარაგაულის რაიონის სოფელ გეთსამანიაში, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გადმოსულან ღორინამკალზე. გაუჩეხიათ ტყე, გაუკეთებიათ ახოები, მოუმრავლებიათ ფუტკრის ოჯახები და არ ემდუროდნენ ცხოვრებას. დაახლოებით 15-20 წლის შემდეგ მათთვის დაბლა ჩამოსახლება შეუთავაზებია ამ კუთხის თავად ლევან სავანელს და ისინიც დათანხმდნენ.

ალგი ლომიძე,
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი.

(გაგრძელება იქნება)

ვულოცავთ!

ჩემს უფროს შვილიშვილს სალომე ლომსაძეს წრფელი გულით ვულოცავ დაბადების დღეს - 23 მაისს.

ვუსურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, სიყვარულს და დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას და კეთილ მომავალს მონაგართან ერთად, მიზნის სიცხადე და ღვთისწყალობა არ მოკლებოდეს მის წარმატებულ და შემოქმედებით საქმიანობას.

მედიცინა მამამ და ბაბუამ შეაყვარა, თვითონაც ძალიან მოინდომა და შესანიშნავ შედეგსაც მიაღწია სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად რეზიდენტურაც წარმატებით დაამთავრა და კონკურსში გამარჯვებულმა ამერიკაში გააგრძელა პრაქტიკული საქმიანობა. ახლა იქ ეუფლება მედიცინის მიღწევებს, გამოირჩევა მაღალი ინტელექტით და ავადმყოფებისადმი უაღრესად გულისხმიერი ყურადღებიანობით.

ამის შესახებ არაერთი საქებარი სიტყვები დაიწერა თვით ამერიკის მრავალტირაჟიან გაზეთებში.

მწამს, მომავალში კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევს, ასახელებს მშობლიურ საქართველოს, ბორჯომის ხეობას, მშობლებს, ბებია-ბაბუას და ყველას, ვინც გულწრფელად ამაყობს მისი მიღწევებით.

შვილიშვილის მონატრებული კეთილი ბაბუა

სერგო მელიქიძე.

პოეზიის კუთხე

ჩვენი დიდგორი

უფალმა შეგვქმნა თავის ხატად, თავის მსგავსებად,
ზღვა სიყვარული, სიტკბოება ჩვენთვის ინება,
ოღონდ ძამონამ ისარგებლა კაცთა სისუსტით,
მოგვხიბლა, ყველას როდი მოსდგამს ძლიერი ნება.
უნახელმა და ბურიანელმა ეშმაკმა იცინ,
ვნებაში შობილ ადამიანს ფული სჭირდება,
მას მოტყუება, ძირს დაცემა კაცობრიობის,
და საბოლოოდ დაღუპვაც არ გაუჭირდება.
ფულით ყიდულობს კაცთა სულებს წარსაწყმედელად,
თავის ბადეში ახვევს საწყალ ადამიანებს,
ჩემო მოყვასო, ნუ შეცდებით, არ გინდათ მისი
ბინძური ფული, რადგან ბოლოს ბევრი ინანებს.
თუ ნებივრობას მოინდომებთ წუთისოფელში,
გზას გაგიყენებთ მარადიულ ჯოჯოხეთისას,
გაგაყიდინებთ მამულს, ენას, ყველაფერს წმინდას,
დაგაკარგვინებთ ღვთის წყალობას, მადლსა მცხეთისას.
და ყოველდღიურ საზრუნავში, სულ გვავიწყდება,
რომ ამ სოფლიდან წამში ხდება ჩვენი გაყვანა,
ოხრად დაგვრჩება წუთიერი სიამეები,
ნატვრად გვექცევა სასუფევლად, ზეცად აყვანა.
ღმერთო მოგვეცი სიბრძნე, ვიგრძნოთ შენი რაობა,
ძამონას კლანჭებს აარიდე ჩვენი თაობა.

ოლიკო ლომიძე

არც რა მჯერა, არცა რა მწამსა

სტუმრად დავალთ ამქვეყნადა,
არ ვიცით, ვინ რა ხნითა.
ზოგი მიდის, ზოგი მოდის,
ვინ დღითა და ვინ ღამითა.
ეს ქვეყანა, ეს სამყარო
უკვდავებად არვის ხდისა,
როცა უნდა გავიხაროთ,
სწორედ მაშინ სულსა გვხდისა.
სიამტკბილობაზე მეტსა
ტანჯვა-ვაებასა გვყრისა,
არავისას არ დაეძებსა,
ვის რა უჭირს, ვის რა სჭირსა.
ამ ცოდვით სავსე წუთისოფლის
არც რა მჯერა, არც რა მწამსა,
სადაც სიკვდილი ბატონობს,
აბა, როგორ ვიგრძნობ თავსა.
როგორც არ უნდა ვიცხოვროთ,
დაწყევლილი ვართ ღვთისაგან,
ოცნება გვაქვს უსასრულო,
სოცოცხლე კი დროებითა.
მხოლოდ ისღა დაგვრჩენია
ვიარსებოთ ღვთის მცნებითა.
მოვეფეროთ ერთმანეთსა
მანამდე ვართ ამქვეყნადა.

გურამ ქუნცელი-ივანიძე,
საქართველოს ჟურნალისტთა
შემოქმედებით კავშირის წევრი.

სპექტაკლის პრემიერა

13 მაისს საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანებამ, ბორჯომის თოჯინების თეატრში, თოჯინური სპექტაკლი, „გუდული ბაბუ და პატარა უჩა“ წარმოადგინა. სპექტაკლი, ნოდარ დუმბაძის მოთხრობის „უმადური“-ს მიხედვით დაიდგა. წარმოდგენა გამოჩენილი ქართველი მსახიობის თენგიზ არჩვაძის ხსოვნას ეძღვნება.

ინსცენირების ავტორი, რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი - დიმიტრი ხვთისიაშვილია, **მხატვარი** - ვახტანგ ქორიძე, **ხმის რეჟისორი** - ლევან გვაზავა.

ტექნიკური რეჟისორი - მაია ხუციშვილი.

მონაწილეობენ მსახიობები: ალეკო სტეფანიანი, ბაქარ ლომიძე, თამარ გელაშვილი, ირინა კუბანსკი, მარიამ ლომიძე, სალომე მიქელაშვილი.

სპექტაკლს ახმოვანებენ: გიორგი კაჭახიძე, დავით როსტომაშვილი, ეკატერინე შარიქაძე, ლევან ხვთისიაშვილი.

პინკ ფლოიდის „კედელი“ კულტურის სახლის სცენაზე

17 მაისს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ბორჯომის №1 საჯარო სკოლის XII(ა) კლასის გამოსაშვები საღამო გაიმართა. მოსწავლეებმა სცენაზე საკუთარი სცენარით შექმნილი თეატრალური სპექტაკლი სახელწოდებით: ,,კედელი“ წარმოადგინეს, რომელიც ინგლისური ჯგუფის, ,,პინკ ფლოიდის“ ალბომის The Wall სიუჟეტის მიახლოებული ვარიანტი გახლდათ და ის 1982 წელსაა გადაღებული. იგი ამავე ჯგუფის ვოკალისტისა და ბასისტის, როჯერ უოტერსის სცენარის მიხედვითაა შექმნილი. ფილმი სავსეა მეტაფორებით და მდიდარია ვიზუალურად და მუსიკალურად. რაც შეეხება მოსწავლეების წარმოდგენას, სცენარი და დადგმა მეტად საინტერესოდ იყო გადაწყვეტილი. პირველი ნომერი ქართულ მოტივებზე შექმნილმა ულამაზესმა ცეკვამ გახსნა. მოსწავლეებმა წარმოდგენაში 12 წლის მანძილზე ყველაზე აქტუალური საკითხები წამოწიეს, რაც მათ ამ წლების მანძილზე გადახდათ. ჩვეულებრივი არაფრით გამორჩეული მოსწავლის რუტინულ ცხოვრებას, მათი მასწავლებლის სრულიად ახალი, თავისუფალი მიდგომები ცვლის და ისინიც სრულიად განსხვავებულად იწყებენ ფიქრს. მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდა ბორჯომის თეატრის უნიჭიერესი ახალგაზრდა მსახიობი **თამარ გელაშვილი,** ხოლო წარმოდგენის დამდგმელი რეჟისორი **ლუკა ინწკირველი** გახლავთ. მთელ წარმოდგენას, მუსიკალურად აფორმებდა პინკ ფლოიდის უკვდავი სიმღერა: ,,ANOTHER BRICK IN THE WALL”. ღონისძიებას ესწრებოდნენ მოსწავლეთა ოჯახის წევრები, პედაგოგები, სკოლების დირექტორები, ასევე მამა (**იოანე ხეცურიანი**), რომელმაც წარმოდგენის დასასრულს დალოცა მოსწავლეები. სცენაზე ავიდნენ მათი დამრიგებლები **ეთერ სანდაძე** და დაწყებითი კლასის პედაგოგი **ნონა დევდარიანი**, რომლებიც ემოციებს ვერ იკავებდნენ თავიანთ გამოსვლებში. ბედნიერება და წინსვლა უსურვეს თითოეულ აღზრდილს.

ჩვენც ვულოცავთ ყველა მეთორმეტე კლასელს ამ შესანიშნავ დღეს, რასაც სკოლის დამთავრება ჰქვია, ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებებს ცხოვრების ახალ ეტაპზე.

ნატო მელიქიძე

სპორტსკოლის მოსწავლეთა წარმატებები

ქ. ბორჯომში 8-9 მაისს ჩატარდა ბორჯომის მერიის თასის მოსაპოვებლად სარეიტინგო ტურნირში ძიუ-დოში გოგონები ძიუდოს სექციის სპორტსმენები მონაწილეობდნენ: პირველი ადგილი წილად ხვდა (78კგ) **ნინო პაპიძეს**, მეორე ადგილი (70კგ წონით კატეგორიაში) **მანუელა გელაშვილმა** დაიკავა, 44კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილის მფლობელი გახდა **ანასტასია შაყულაშვილი**. მწვრთვნელები: **გიორგი ხერგიანი, აკაკი შენგელია, ნოდარ ანდღულაძე**.

ქ. ბრატისლავაში (სლოვაკეთი) 2-12 მაისს ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი მკლავჭიდში, სადაც საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში, ბორჯომის სასპორტო სკოლის სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა. 18 წლამდელთა შორის მოასპარეზე **ნელი უსიმენკომ** 70კგ წონითი კატეგორიაში დაიკავა მესამე - საპრიზო ადგილი, ხოლო 15 წლამდელთა შორის 60კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილის მფლობელი გახდა **დავით მელიქიძე** მწვრთნელები: **დავით გავვა და ზურაბ მეტრეველი.**

ბორჯომის ,,თორელების“ ფეხბურთელთა გუნდი გამარჯვებული დაბრუნდა ძიდა ქართლის ჩემპიონატიდან.

2014-2015 წელში დაბადებულმა ,,თორელებმა“ მწვრთნელები: **ზურაბ გოგოლაძე** და **გიორგი გელაშვილი** ფინალში 7:0 დაამარცხეს კასპის გუნდი.

ქ.თბილისში ჩატარდა ბავშვთა მძლეოსნობის დღეები, სადაც სასპორტო სკოლის სპორტსმენებმა: **გვანცა გოგოლაძემ, ქეთი ბაქრაძემ, ნიტა სულიაშვილმა, ალექსანდრა წიქარიშვილმა, გიორგი მელიქოვმა, საბა გელაშვილმა, ნიკა გელაშვილმა და მათე მელიქიძემ** ასპარეზობაში მოიპოვეს მეორე ადგილი გუნდურ ასპარეზობაში, მწვრთნელები: **ვალერი ჟადანი, დავით ნოზაძე.**

მესტიაში 11-12 მაისს ჩატარდა ძიუდოს ერთ-ერთი ფუძემდებლის, კორნელი გირგვლიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, სადაც მონაწილეობა მიიღეს ბორჯომის სასპორტო სკოლის ძიუდოს სექციის სპორტსმენებმა. **ნუგზარ დავიდიანმა** პირველი ადგილი დაისაკუთრა. (წვრთვნელები: **გიორგი ხერგიანი, აკაკი შენგელია და ნოდარი ანდღულაძე**).

ვულოცავთ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს!

ახლო მეზობლები: დათო, ალეკო, სიმონი, ლაშა ხაჩიძეები, ზურა, ბადრი გოგოლაძეები, შორენა ვაჩეიშვილი, დათო ლომიძე, დათო ხარატიშვილი, გენადი მუმლაძე, თემურ ორჯონიკიძე, გია, შალვა ბლიაძეები, ირინა კარაგულიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დათო ჭეიშვილი

დაიკრძალა 19 მაისს. ქ. ბორჯომში.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს,

რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.

იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.

WWW. colorgroup.ge

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე